პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის _____ ივნისი; ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, №16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კN05.36.24.934) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 აგვისტოს N43 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, №16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კN05.36.24.934) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 აგვისტოს N43 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 12/08/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016659).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, №16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კN05.36.24.934) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 აგვისტოს N43 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ,,ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის NI ჩიხი, N16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.36.24.934 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 09 აგვისტოს N43 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

.ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2025 წლის 10 ივნისს N:10/1425161187-14 განცხადებით მომართა შპს ,,გონიო 2020''-ს დირექტორმა ნოდარ ბარაბაძემ და მოითხოვა ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის NI ჩიხი, N16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.36.24.934 განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 09 აგვისტოს N43 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურმა იმსჯელა წარმოდგენილ განცხადებაზე და დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმის გაუქმება/ძალადაკარგულად გამოცხადება, ვინაიდან იგი ზიანს არ მიაყენებს ქალაქის ურბანულ განაშენიანებას და სხვა კერძო პირთა ინტერესებს.

განსახილველ შემთხვევაში გეგმარებითი ერთეული და საპროექტო მიწის ნაკვეთი ემთხვევა ერთმანეთს და არ მოიცავს სხვა საკადასტრო მიწებს, დაინტერესებულ პირს აღარ აქვს ინტერესი მისი სამშენებლოდ განვითარების და ვინაიდან სხვა პირთა და მუნიციპალიტეტის ინტერესი გამოირიცხა, დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმა წარმოადგენს აღმჭურველი ხასიათის სამართლებრივ დოკუმენტს და დაინტერესებულ მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს მისი გაუქმება.

განაშენიანების დეტალური გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადებით ძალას ავტომატურად კარგავს მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება, ვინაიდან უქმდება სამართლებრივი საფუძველი.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ზ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე-არ გამოიწვევს .

პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებულა კონსულტაციები;

პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

პროექტის ინიციატორი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი